180
1982/2

(4)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1982 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17361

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1982 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ოქტომბრის № 981 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატის მედლის ესკიზის დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 2 თებერვლის № 97 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
4. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის № 252 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
6. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ნოემბრის № 1088 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

7. საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

8. ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმების შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

9. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ბორის ძნელაძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

10. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების შექმნისა და გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

11. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხული სახსრების გამოყენების წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ.

12. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. დ. გამყრელიძისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ო. მინდელის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ.

13. ვ. ბ. თოფურიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

14. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატის შექმნის შესახებ.

15. თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზაციის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ.

17. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სოფლის სკოლების ბიბლიოთეკართა კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

18. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

19. საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილების შესლების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ოქტომბრის № 981 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ოქტომბრის № 981 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ოქტომბრის № 981 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-8 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1971 წლის 14 აპრილის № 222 დადგენილებისა „მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1971 წლის 22 ივნისის № 343 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 19 იანვარი, № 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 იანვრის № 57 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. მე-8 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 იანვრის № 78 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“.

2. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივლისის № 530 დადგენილებისა „ზევადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“.

3. მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 ივნისის № 457 დადგენილებისა „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალ მნიშვნელოვან შემცირებასთან დაკავშირებით საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებიდან, დაწესებულებებიდან და საწარმოებიდან დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ“.

4. მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-11 და მე-12 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“.

5. მე-9 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობის ზომების შესახებ“ და აღნიშნული დადგენილების მე-4 დანართის მე-15 პუნქტი.

6. მე-19 პუნქტის მეხუთე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებისა „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივნისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 აპრილის № 302 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საშუალო სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

8. 38-ე პუნქტის მეთერთმეტე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 მარტის № 164 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

9. მე-4, მე-5 და მე-11 („ვ“ ქვეპუნქტის გარდა) პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 4 იანვრის № 10 დადგენილებისა „სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და კადრების შენარჩუნების შესახებ“.

---

2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატის მედლის ესკიზის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატის სამკერდე მედლის ესკიზი და აღწერილობა (თან ერთვის).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 5 იანვარი, № 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 5 იანვრის № 85 დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატის სამკერდე მედლისა

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატის სამკერდე მედალს, რომელიც დამზადებულია თითბრის ნაგლინისაგან (ტომპაკი), აქვს 23 მილიმეტრი დიამეტრის სწორი წრის ფორმა მთლიანდაშტამპული ყუნწით.

მედლის წინა მხარეზეა ქვემოთ გადაჭდობილი ორი დაფნის რტოს ვერტიკალური გამოსახულება. წრის ზედა მხარეს ოთხკუთხედში გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის ელემენტი — ნამგალი და ურო მზის სხივებში.

მედლის უკანა მხარეს არის ამობურცული წარწერა: „ხუთწლედის მატიანე“ — «Летопись пятилетки».

მედალი ტანსაცმელზე მიებნევა 23 მილიმეტრი სიგანისა და 13 მილიმეტრი სიმაღლის სწორკუთხა ფორმის ორგან გაჭრილი ფირფიტით. ფირფიტას შემოხვეული აქვს წითელი მუარის ლენტი; ლენტის სიგანეა 7 მილიმეტრი. ფირფიტას უკანა მხარეზე აქვს ქინძისთავი. შემაერთებელი რგოლით ფირფიტა მაგრდება მედლის ყუნწზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 2 თებერვლის № 97 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების შექმნისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 6 ნოემბრის № 1073 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 2 თებერვლის № 97 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რემონტის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე 1949 წელს შავი საბურის მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 2 თებერვალი, № 97.

4 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 950 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე-8 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 სექტემბრის № 1759 დადგენილებისა „ღორის ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გადიდების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 ოქტომბრის № 583 დადგენილებით;

— მე-4 პუნქტი და მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 მარტის № 125 დადგენილებით;

— მე-8 პუნქტის პირველი-მეექვსე და მეცხრე აბზაცები, მე-10 პუნქტის „გ“ და „დ“ პუნქტები, მე-11, მე-12, მე-17 და 25-ე პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 იანვრის № 727 დადგენილებით;

— 53-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ოქტომბრის № 602 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 12 თებერვალი, № 98.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 თებერვლის № 98 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. მე-4 პუნქტი და 29-ე პუნქტის II აბზაცი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 24 აპრილის № 757 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბ-

ლიკაში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. კრებ., 1941 წ., № 17, მუხ. 103).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 17 ნოემბრის № 1759 დადგენილება „სამრეწველო სახალხო კომისარიატების დამხმარე მეურნეობათა შემდგომი განვითარების ზომების თაობაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“.

3. I განაყოფის მე-8, მე-11, მე-17 და მე-18 პუნქტები, II განაყოფის მე-10 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 აპრილის № 503 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

4. 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, მე-16 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-18, მე-20, 33-ე, 34-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე, 44-ე, 50-ე პუნქტები, 51-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 56-ე პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 დეკემბრის № 1743 დადგენილება „სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 17 ივნისის № 369 დადგენილება „მასალების დაწვრილმანების ახალი წესის დანერგვისა და ვიბრაციული დანადგარების წარმოების მოწყობის შესახებ“.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 მარტის № 133 დადგენილება „კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება-დამზადების გადიდების შესახებ“.

8. მე-6 და მე-9 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 მარტის № 162 დადგენილებისა „ჰიბრიდული თესლით სიმინდის თესვაზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადასვლის ზომების შესახებ“.

9. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 სექტემბრის № 507 დადგენილება „საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“, გარდა მე-20 პუნქტისა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 სექტემბრის № 632 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ".

11. მე-5 პუნქტის „ა", „გ", „დ", „ე" ქვეპუნქტები და უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 იანვრის № 62 დადგენილებისა „ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და მავნე სასმელების ვაჭრობაში წესრიგის დამყარების შესახებ".

12. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 თებერვლის № 113 დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი ხელმძღვანელობის შესახებ", გარდა მე-9 პუნქტის მესამე აბზაცისა.

13. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აპრილის № 319 დადგენილება „საქართველოს სსრ ელევატორების, პურის მიმღები პუნქტებისა და ბაზების, საფქვავ-ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების და პურეული პროდუქტების ზოგიერთი სხვა საწარმოს მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისა და მათი ხელფასის მოწესრიგების ვადების შესახებ".

14. მე-20 პუნქტის პირველი აბზაცი, 21-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი, 41-ე პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის № 649 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

15. მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 იანვრის № 42 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ზომების შესახებ" სესხების პროცენტული განაკვეთების ნაწილში.

16. მე-3 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აპრილის № 271 დადგენილებისა „კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ".

17. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილების შესაბამისად იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 308 დადგენილებით დამტკიცებული იმ ცვლილებების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომლებიც შეტანილია საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე".

18. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 5 ივნისის № 382 დადგენილება „1962 წლის III კვარტალში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მინერალური სასუქების დამამზადებელ სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის შესახებ".

19. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მაისის № 356 დადგენილებისა „მეცნიერთა კადრების შერჩევისა და მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

20. მე-5 პუნქტის მეორე და მეოთხე აბზაცები და მე-8 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 მარტის № 114 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციის საკითხები".

21. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 იანვრის № 16 დადგენილებისა „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ".

22. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 256 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის 1966-1970 წლების გეგმის შესახებ".

23. მე-20 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 ოქტომბრის № 582 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზის მეურნეობის შემდგომი განვითარების, თევზის პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების ზომების შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის № 252 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 ნოემბრის № 1081 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი და მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის № 252 დადგენილებისა „1976-1980 წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების განვითარებისა და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 ნოემბრის № 1081 დადგენილებით:

— „მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 15 სექტემბრის № 658 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ნოემბრის № 566 დადგენილებით:

ძალადაკარგულად ჩაითვალა 21-ე პუნქტი;

27-ე პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 ნოემბრის № 856 დადგენილების მე-7 პუნქტით“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ნოემბრის № 1066 დადგენილების მე-4 პუნქტით“, აგრეთვე აღნიშნულ აბზაცს დაემატა სიტყვები: „ხოლო სოფლის მოსახლეობისათვის განკუთვნილი საქონლის მიმართ — აგრეთვე „ცენტროსოიუზთან“ შეთანხმებით“;

— „მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანამედროვე ტექნიკის წარმოების გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 სექტემბრის № 672 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ოქტომბრის № 509 დადგენილებით, მე-8 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 ნოემბრის № 856

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ნოემბრის № 1066 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 16 თებერვალი, № 125.

6. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ნოემბრის № 1088 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების შექმნისა და გამოყენების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ნოემბრის № 1088 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ნოემბრის № 1088 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 იანვრის № 727 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 16 თებერვალი № 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 16 თებერვლის № 127 დადგენილებით

ᲜᲣᲡᲮᲐ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. 34-ე და 35-ე პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1657 დადგენილებისა „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 სექტემბრის № 507 დადგენილება „საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“.

3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 308 დადგენილება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილების შესაბამისად იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“.

4. მე-20 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წ. 13 აგვისტოს № 448 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების მე-20 პუნქტის შეცვლის თაობაზე“ (საქ. სსრ დადგ. კრებ., 1977 წ., № 4, მუხ. 50).

6. მე-18 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 აპრილის № 190 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებისა და ქართველ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისათვის.

ამასთანავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე ბევრი სპორტული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იღებენ საკმარის ზომებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვისათვის.

რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკური მომზადება სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს ადამიანს თანამედროვე წარმოება და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სუსტად უწევენ ხელმძღვანელობას მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებას, საკმარისად არ ითვალისწინებენ მის მნიშვნელობას კომუნისტური მშენებლობის ეკონომიკური, სოციალური და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში, ეფექტიანად არ იყენებენ არსებულ სპორტულ ბაზებსა და ნაგებობებს.

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების მიზნით და „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის № 890 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების შესაბამისად გააძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა ფიზკულტურული მოძრაობისადმი, აამაღლონ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ჭეშმარიტად მასობრივი განვითარებისათვის, ისეთი პირობების შექმნისათვის, როცა რესპუბლიკის ყველა მცხოვრები შეძლებს სრულად გამოიყენოს საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული შესაძლებლობა — მისდევდეს ფიზიკურ კულტურას, სპორტსა და ტურიზმს, ამასთან გაითვალისწინონ, რომ ფიზკულტურული მოძრაობის მთავარი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებას, მათი შრომისუნარიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამშობლოს, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნის გაძლიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი, უზრუნველყოს მათი მასობრიობის შემდგომი განვითარება, მშთ კომპლექსის საფუძველზე მოსახლეობის ყველა ჯგუფის ფიზიკური აღზრდის სისტემის სრულყოფა, აამაღლოს კადრების მომზადება-გადამზადების დონე, უზრუნველყოს სამინისტროთა, უწყებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია თითოეული საბჭოთა ოჯახის ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის მითითებათა რეალიზაციისათვის.

17361

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ საგეგმო დავალებათა საფუძველზე ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი;

— გააფართოონ სპორტული და ტურისტული ნაწარმის მაღაზიებისა და გასაქირავებელი პუნქტების ქსელი, გაზარდონ აღნიშნული საქონლის წარმოება ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში;

— გააფართოონ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების ქსელი მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათ შორის სამეურნეოანგარიშიან საწყისებზე, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ბელორუსიაში, ლენინგრადსა და პენზაში შეძენილი მოწინავე გამოცდილება.

4. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს კომკავშირის კომიტეტების პასუხისმგებლობა ბავშვთა, მოსწავლე, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის, ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობისათვის, მიაღწიოს იმას, რომ თითოეული პიონერი, ახალგაზრდა გახდეს მშთ კომპლექსის ნიშნოსანი, რეგულარულად მისდევდეს ფიზიკურ კულტურას, სპორტსა და ტურიზმს, დაუცხრომლად იბრძოლოს თამბაქოს წევის, ლოთობისა და სხვა მავნე მიდრეკილება-ჩვევების წინააღმდეგ.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ არმიის, ავიაცისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად:

— მოაწესრიგოს რესპუბლიკაში შეჯიბრებათა და შეკრებათა ჩატარება, ამასთან მიაღწიოს ამ მიზნით სახსრების ეკონომიურად ხარჯვას. შეამციროს გაუმართლებელ რესპუბლიკურ და საოლქო შეჯიბრებათა და შეკრებათა რიცხვი:

— მთავარი ყურადღება დაუთმოს მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიზიდვას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— პროფკავშირთა საქარხნო, საფაბრიკო, ადგილობრივი კომიტეტების, კომკავშირული, სპორტული და სამეურნეო ორგანიზაციების ღონისძიებანი მოახმაროს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის საჭირო პირობების შექმნას, სპორტული კლუბებისა და ფიზიკური კულტურის კოლექტივების განმტკიცებას, მშთ კომპლექსის, ტურიზმის, საერთო ფიზიკური მომზადების სექციებისა და ჯანმრთელობის ჯგუფების რაოდენობის გადიდებას·

— უფრო ფართოდ გამოიყენოს რესპუბლიკის ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები ტურისტული ლაშქრობების მოსაწყობად, ღია ჰაერზე ფიზკულტურულ მეცადინეობათა ჩასატარებლად;

— შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით ურჩიოს საწარმოებისა და დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა იქ, სადაც ამის საშუალებას იძლევა შრომისა და სწავლის პირობები;

— განახორციელონ სპორტული ღონისძიებანი შრომითს კოლექტივებსა და სასწავლებლებში, ქალაქებში, რაიონებში მხოლოდ მუშაობისა და სწავლისაგან თავისუფალ დროს, ხოლო საოლქო შეჯიბრებანი, როგორც წესი, შაბათობითა და კვირაობით.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქმთავარწყალმშენმა, საქსახსოფლტექნიკამ და ცეკავშირის გამგეობამ, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმ. კომიტეტებმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ საბჭომ შეიმუშაონ და განახორციელონ სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად:

— ძირეულად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისადმი;

— მიაღწიონ ბავშვთა მოძრაობითი აქტიურობის მნიშვნელოვან ამაღლებას, მოყოლებული სკოლამდელი ასაკიდან, ამასთან ხელი შეუწყონ ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაში გადახრების — ხერხემლის გამრუდების, გასუქებისა და სხვათა პროფილაქტიკას;

— უზრუნველყონ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დილის ტანვარჯიშის, მოძრავ თამაშობათა ჩატარება დიდი შესვენებების დროს, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ხალხური მოძრავი თამაშობანი, ჯანმრთელობისა და სპორტის ყოველთვიური დღეები, ყოველდღიური ფიზკულტურული მეცადინეობანი გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, უფრო აქტიურად დანერგონ ბავშვთა სპორტული ასპარეზობა „იმედის სტარტები“, შეჯიბრებანი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე, აგრეთვე ასპარეზობანი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის;

— უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში არასასწავლო და ფაკულტატურ მეცადინეობათა რეგულარული ჩატარება სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად:

— მატერიალური ბაზისა და კადრების არსებობის კვალობაზე გააფართოონ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელი, გააუმჯობესონ იმ მოსწავლეებთან ფიზკულტურული მეცადინეობის ორგანიზაცია, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიეკუთვნებიან;

— ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლების ძირითადი საქმიანობა დაუთმონ ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციას, ხოლო სკოლებისა, რომლებსაც აქვთ საჭირო მატერიალური ბაზა და ჰყავთ კვალიფიციური კადრები — სპორტული რეზერვების მომზადებას.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტულმა კლუბმა და ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ:

— უზრუნველყონ სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შემდგომი განვითარება, გააძლიერონ მუშაობა სპორტული რეზერვების მოსამზადებლად, აამაღლონ სპორტული სკოლების, ოლიმპიელთა მომზადების ცენტრების, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების მუშაობის ეფექტიანობა, განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა, ეკონომიურად ხარჯონ სასწავლო-საწვრთნელი მიზნებისათვის განკუთვნილი სახსრები;

— გააუმჯობესონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენებთან, მოაწყონ ყველა ნაკრებ გუნდსა და სპორტულ სკოლაში მუდმივი მიზანდასახული პოლიტიკური სწავლება, აღზარდონ ახალგაზრდობა მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის საქმის ერთგულების, სრულიად საკავშირო და მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე გამარჯვებისათვის საბრძოლველად მზადყოფნის სულისკვეთებით, გადაჭრით აღკვეთონ არაჯანსაღი მოვლენები სპორტში (მომხვეჭელობა, მეცენატობა, სპორტსმენთა გადაბირება და ა. შ.);

— უფრო ფართოდ გამოიყენონ ფიზკულტურულ ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელების, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის დროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების კოოპერირება მოცემულ ღონისძიებაში მონაწილე თითოეული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანხმობითა და გადაწყვეტილებით.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტულმა კლუბმა, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად:

— გააძლიერონ მუშაობა წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადებისათვის, აღმოფხვრან ფორმალიზმის ფაქტები მშთ კომპლექსის ნორმატივების მიღებაში, მეტი ყურადღება დაუთმონ სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებითს სახეობებს, განსაკუთრებით საავტომობილო, სამოტოციკლო, საპარაშუტო, სასროლო სპორტს;

— სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის შეფასებისას გაითვალისწინონ სპორტის გამოყენებით და სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა მაჩვენებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— უზრუნველყონ სპორტული ბაზების ეფექტიანი გამოყენება, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— კოლექტივების საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მიიჩნიონ სპორტულ ნაგებობათა მდგომარეობა, მშრომელთა და ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დონე;

— გაითვალისწინონ ყოველდღიურად ყველა სპორტული ბაზის სამუშაო დღის დაახლოებით ნახევრის გამოყოფა მოსახალეობასთან ფიზკულტურული მეცადინეობისათვის.

12. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა გააუმჯობესონ საექიმო კონტროლი ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი, მიიღონ ზომები საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერების ქსელის გასაფართოებლად, უზრუნველყონ ისინი თანამედროვე მოწყობილობით, აპარატურითა და მედიკამენტური საშუალებებით, გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმებში დაავადებათა პროფილაქტიკისათვის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გააქტიურება.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ განიხილონ იმ სპორტული საქონლის წარმოების საკითხი, რომლითაც რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელი არასაკმარისი ოდენობით მარაგდება.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა გააუმჯობესონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, ამასთან ძირითადი ყურადღება დაუთმონ ადამიანებში ყოველდღიური ფიზკულტურული მეცადინეობის მოთხოვნილების განვითარებას, მშთ კომპლექსის პოპულარიზაციას, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში გამოცდილების გაზიარებას, ქართულ ხალხურ მოძრავ თამაშობათა პოპულარიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. გავრცელდეს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოთა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებზე თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1059 დადგენილებით გათვალისწინებულია შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სახალხო დეპუტატთა, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების დამოუკიდებელი სამმართველოების მუშაკთათვის.

16. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებ', საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1982 და 1984 წლების შედეგების მიხედვით.

17. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის № 890 დადგენილებით:

ა) დაევალათ:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს — დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 6 თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოწესრიგებასა და სრულყოფას, მათ შორის არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფის, მათი აღჭურვის, სპორტულ ნაგებობათა მოვლა-შენახვის, სპორტული მუშაობის დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში შეფი ორგანიზაციების მონაწილეობის წესს;

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — სსრ კავშირის მიხისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წარდგენით შეიტანოს, მოყოლებული 1982 წლიდან, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმათა პროექტებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, ხოლო სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაითვალისწინოს მათი შესრულების შედეგები სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში;

— სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს — საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად გადასინჯონ ფიზიკური აღზრდის არსებული სასწავლო პროგრამები;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — 1982 წლიდან გამოყოს სახსრები 30 და მეტი კლასის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკურ კულტურაში კლასგარეშე მუშაობის ასანაზღაურებლად მასწავლებლის სრული განაკვეთის ოდენობით, აგრეთვე გაითვალისწინოს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ხარჯების ნორმების თანდათანობით გადიდება;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნას“, ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს — გაადიდონ გამოშვება და გააუმჯობესონ ხარისხი სახელმძღვანელოებისა, მეთოდიკური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა, დოკუმენტური და სასწავლო ფილმებისა, პლაკატებისა მასობრივი ფიზიკური კულტურის საკითხებზე, გამოყოფილი ქაღალდის ფონდების ფარგლებში;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს — სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის, შესაბამის ინსტიტუტებთან ერთად და სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მეცნიერული კვლევის დონის ამაღლების, მისი დაგეგმვისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით: განამტკიცოს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ქვედანაყოფები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებანი;

— თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს — განახორციელონ ღონისძიებანი სამხედრო მოსამსახურეთა ფიზიკური მომზადების შემდგომი გაძლიერებისა და არმიელთა სპორტის განვითარებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გააუმჯობესოს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა, მეთოდისტთა, მწვრთნელთა და სხვა ფიზკულტურული კადრების მომზადება-გადამზადება, უზრუნველყოს ფიზიკური კულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადება, მოაწყოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის სპეციალისტთა მომზადება;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს — დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ 1982-1984 წლებში მწვრთნელთა მთელი კადრების ატესტაცია;

— პარტიულ კომიტეტებს — განამტკიცონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები ისეთი სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობა;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს — დაამტკიცოს თითოეული ოლიმპიური ციკლისათვის, მოყოლებული 1981 წლიდან, ძირითად სრულიად საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებათა ერთიანი კალენდარი (ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების წინადადებათა გათვალისწინებით), იმ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს შრომითს კოლექტივებსა და სასწავლებლებში;

ბ) რჩევა მიეცათ საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით შეიტანონ ხელმძღვანელი კადრების მომზადება-გადამზადების პროგრამებში თემის „ფიზიკური კულტურა“ შესწავლა.

18. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 24 თებერვალი, № 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

8 ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმების შემოღების შესახებ

„ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმების შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 5 დეკემბრის № 1149 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად ჩაატარონ იმ სამუშაოთა პასპორტიზაცია, რომლებშიც გამოყენებულია ქალთა შრომა და ადგილი აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 5 დეკემბრის № 1149 დადგენილების შესაბამისად დაწესებული ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმების გადამეტებას, და განახორციელონ მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში ღონისძიებანი ამ ნორმების სამოქმედოდ შემოღებისათვის.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განიხილონ მოქმედი სტანდარტები და ტექნიკური პირობები ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმების გათვალისწინებით და საჭიროების კვალობაზე შეიტანონ მათში შესაბამისი ცვლილებანი დადგენილი წესით.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინონ 1981-1985 წლებისათვის ხელის შრომის გამოყენების შემცირების კომპლექსურ მიზნობრივ პროგრამებში პირველი რიგის ღონისძიებათა სახით იმ მძიმე ხელის სამუშაოთა მექანიზაცია, რომლებშიც გამოყენებულია ქალთა შრომა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1981 წლის 5 დეკემბრის № 1149 დადგენილებით:

ა) გათვალისწინებულია შემოღებულ იქნეს 1981-1985 წლების განმავლობაში ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმები და დაწესდა, რომ ასაწევი და გადასაადგილებელი ერთეული ტვირთის ზღვრული ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 15 კილოგრამს;

ბ) დაევალა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ხელით სიმძიმეთა აწევისა და გადაადგილებისას ქალთათვის ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ახალი ნორმები სამუშაო ცვლის განმავლობაში გადასაადგილებელი ტვირთის შეჯამებული მასის გათვალისწინებით, და ამ ნორმების შემოღების წესი.

5. კონტროლი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 23 თებერვალი № 121.

9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ბორის ძნელაძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თხოვნა და დაწესდეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების წარჩინებული სტუდენტებისათვის საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის სახელობის 5 სტიპენდია სასწავლებელთა სასტიპენდიო ფონდიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭოს**
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. **თბ**ილისი, 1982 წ. 7 იანვარი, № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების შექმნისა და გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 6 ნოემბრის № 1073 დადგენილება „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების შექმნისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“.

2. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

4. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 6 ნოემბრის № 1073 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-11 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით, ძეგლებისა და ბიუსტების აგების დანახარჯების ნაწილში;

— მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებით;

— მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 778 დადგენილებისა „წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 549 დადგენილებით;

— მე-10 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილებისა „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ““, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს № 822 დადგენილების მე-7 პუნქტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტების მოქმედების გავრცელების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 7 იანვარი, № 9.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 7 იანვრის № 9 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში

1. „პიონერთა ბანაკების მშენებლობის დაფინანსების დამატებითი წყაროების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 ივნისის № 355 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) და ორგანიზაციებს მიიღონ ზომები პიონერთა ბანაკების მშენებლობის გასაფართოებლად იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც გამოიყოფა ამ მიზნებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით, აგრეთვე იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც ხმარდება საბინაო მშენებლობასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 30 დეკემბრის № 1430 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 4 თებერვლის № 99 დადგენილებით დამტკიცებული მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის დებულების შესაბამისად და ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის თანახმად“.

2. „დაბალხარისხოვანი და გადასამუშავებლად გამოსადეგი არასტანდარტული ტყავნედლეულისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილების მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაწესდა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები არ იბეგრებიან არასტანდარტული ტყავნედლეულისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულისაგან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის ბრუნვის გადასახადით, ხოლო ამ საქონლის წარმოებისაგან მიღებული მოგება 40 პროცენტის ოდენობით რჩება საწარმოს განკარგულებაში და იხარჯება ინდივიდუალური დაგეგმვისათვის, მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების შესაძენად და მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გასაწევად“.

3. „ადგილობრივი მრეწველობისა და სამხატვრო სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 დეკემბრის № 698 დადგენილებაში:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტი (მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად გათვალისწინებული საწარმოების, საამქროებისა და უბნებისათვის მოგების ანარიცხების იმ ოდენობის შენარჩუნებით, რომელიც დაწესებულია „ა“ ქვეპუნქტით), აგრეთვე მე-3 პუნქტი, მე-6 პუნქტი და მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ბ) მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ამასთან საწარმოების ანარიცხები ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდში, რომელიც შეიქმნება ამ დადგენილების შესაბამისად, შემცირდება წარმოების განვითარების ფონდის იმ თანხის ოდენობით, რაც საწარმოს დაერიცხა“

4. „საქართველოს სსრ მოსახლეობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების და დაწესებულებების სათბობით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს № 423 დადგენილების მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დართო ქალაქსათბობებს, რაისათბობებს, საქალაქო (რაიონულ) სათბობგასაღებებს, საოლქო სათბობტრესტებსა და სათბობის გასაღების სხვა ორგანიზაციებს მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის მომარაგებას სათბობით, საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგება მოახმარონ სათბობის საწყობების გაფართოებასა და ახლის მშენებლობას, მათთვის მოწყობილობის შეძენას კაპიტალურ დაბანდებათა დამტკიცებული ლიმიტების გადამეტებით“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ
1982 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ № 9 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘ-
ᲚᲔᲑᲘᲗ

ᲜᲣᲡᲮᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲫᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

1. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 თებერვლის № 287 დადგენილებისა „სასტუმროს ნომრის საფასურის შემცირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“.

2. მე-7 პუნქტის მეხუთე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 312 დადგენილებისა „ქალაქებში შეგროვილი კვების ნარჩენებით ღორების გასუქების გაფართოების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, გარდა მე-7 პუნქტისა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მაისის № 373 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილების დამატების თაობაზე“.

5. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილებისა „იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 ივნისის № 344 დადგენილება „მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის საცხოვრებელი სახლებისა და მეურნეობათაშორისო გზების მშენებლობის დაფინანსების წყაროების შესახებ“.

7. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 თებერვლის № 76 დადგენილებისა „ბეწვეულისა და ქურქ-ნედლეულის შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ“ ნადირთმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობების ნაწილში.

8. 21-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 8 დეკემბრის № 720 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხული სახსრების გამოყენების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 სექტემბრის № 516 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადასარიცხი სახსრების გამოყენების წესის შესახებ.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საპროექტო ორგანიზაციებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს მტკიცედ იხელმძღვანელონ დებულებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადასარიცხი სახსრების გამოყენების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 7 იანვარი, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხული სახსრების გამოყენების წესის შესახებ

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა-შენარჩუნების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-19 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 9 აგვისტოს № 636 დადგენილებით დააწესა, რომ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც მშენებლობისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოეყოფათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებული მიწის ნაკვეთები, ანაზღაურებენ (მიწათმოსარგებლეთათვის ზარალის ანაზღაურების გარდა) ამ ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგებს ახალი მიწების თანაბარი ფართობის ათვისების ღირებულების ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ ახლად ასათვისებელ მიწებზე განხორციელდეს მათი გაკულტურებისა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებანი.

2. საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც დადგენილი წესით გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის, უნდა გაითვალისწინონ შესაბამის ხარჯთაღრიცხვებში სახსრები (დანაკარგების ასანაზღაურებელი თანხების ოდენობით) მიწების ათვისებასთან და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად და უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადაცემა (საიჯარო ლიმიტთან ერთად) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ჩასატარებლად.

3. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურება ხორციელდება „მიწის ნაკვეთების გამოყოფით ან დროებით დაკავების შედეგად მიწათმოსარგებლეთათვის მიყენებული ზარალის, აგრეთვე არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების წესის შესახებ“ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ეროვნული ტიციის სამინისტროს მიერ 1975 წლის 14 მაისს დამტკიცებული ინსტრუქციითა და ამ დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული სახსრები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემდეგ 3 თვის ვადაში გადაირიცხება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში, და გამოიყენება ახალი მიწების ათვისების (ძირეული გაუმჯობესების) შემდეგ კომპლექსურ (მათ შორის საპროექტო) სამუშაოთა შესასრულებლად:

ა) ჯაგისა და ჭაობის გუთნებით ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნა ბელტის დაშლითა და მოტკეპნით;

ბ) ნიადაგების მოთაბაშირების, მოსწორების, კულტურტექნიკურ და სხვა ღონისძიებათა განხორციელება მიწების გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების აღსადგენად;

გ) დამეწყრილი და ძლიერ ეროზიული მიწებისა და სხვა უვარგისი ფართობების გამაგრებისა და ათვისებისათვის სატყეო-სამელიორაციო და სხვა ღონისძიებათა განხორციელება;

დ) ტერასების, ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, ხევებისა და ნაპრალების ამოვსება;

ე) ტყეების, ტყის ზოლებისა და ბუჩქნარების ამოძირკვა;

ვ) ასათვისებელი ფართობების გასარწყავების მიზნით სარწყავი სისტემებისა და ტბორების მშენებლობა;

ზ) დარღვეული მიწების (მადნის, ინერტული მასალების მოპოვებისა და მშენებლობის შედეგად) რეკულტივაცია;

თ) დაჭაობებული, ჭალისა და ჭარბტენიანი მიწების დაშრობა.

5. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსული სახსრების აღრიცხვისა და თანხების ჩარიცხვის კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

იმ შემთხვევაში თუ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ამ დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად დადგენილ დროში არ შეიტანენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებულ სახსრებს, იგი მათ უდავო წესით გადახდებათ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული გამოუყენებელი ფულადი სახსრები წლის ბოლოს არ ჩამოერთმევა და მომდევნო წელს მოხმარდება მიწების ათვისებისა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა დაფინანსებას.

6. არასასოფლოსამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების სამუშაოები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების შესაბამისად ასრულებს საქსახსოფლ-

ტექნიკა, რაც მას დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 4 იანვრის № 2 დადგენილებით.

7. მიწების ათვისებისათვის (ძირეული გაუმჯობესების) კომპლექსურ ღონისძიებათა სამუშაოები შეიძლება შესრულდეს აგრეთვე სამეურნეო წესით.

8. საიჯარო წესით შესრულებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ანაზღაურება ხორციელდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოიჯარადრე ინსტიტუტებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, სამუშაოთა დამთავრებისას — დამფინანსებელ ბანკში ანგარიშებისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულების შესახებ სათანადო წესით გაფორმებული აქტების წარდგენით.

9. მიწების ათვისების (ძირეული გაუმჯობესების) კომპლექსურ ღონისძიებათა ანაზღაურება, რომლებიც შესრულებულია რესპუბლიკის მეურნეობებში საიჯარო ან სამეურნეო წესით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანებების მიერ (გარდა იმისა, რაც ეხება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს) ხორციელდება შემკვეთის მიერ ყოველთვიურად დამფინანსებელ ბანკში საგადასახადო დავალების წარდგენისას, რომლებსაც დაერთვება აქტი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის თაობაზე, შედგენილი მოიჯარადრის, შემკვეთის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომისა და მეურნეობათა წარმომადგენლების მიერ.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების პროექტებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეიტანს სათანადო წინადადებებს კაპიტალური დაბანდებების მოცულობათა თაობაზე საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად, რაც დაკავშირებულია მიწების კომპლექსურ ათვისებასთან (ძირეული გაუმჯობესების) სამუშაოთა სახეების, ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

წინადადებებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეტანილ უნდა იქნეს დადგენილი წესით გაფორმებული ოქმები კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადაცემის შესახებ (საიჯარო ლიმიტთან ერთად) საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად სათანადო საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც უნდა აანაზღაურონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები.

11. საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტები არსებული წესის შესაბამისად შეთანხმებული უნდა იქნეს იმ სამინისტროებთან და უწყებებთან, რომლებსაც სათანადო თანხები შეაქვთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა იმ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და მეურნეობებთან, სადაც უნდა შესრულდეს მიწების ათვისების (ძირეული გაუმჯობესების) კომპლექსური ღონისძიებანი.

12. ახალი მიწების ათვისებასთან და ახლად ასათვისებელი მიწების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა განხორციელებასთან ან არსებული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე ხორციელდება კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში სატიტულო სიების საფუძველზე.

---

12 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. დ. გამყრელიძისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ო. მინდელის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება და დაწესდეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. დ. გამყრელიძისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ო. მინდელის სახელობის თითო სტიპენდია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 19 იანვარი, № 31.

13 ვ. ბ. თოფურიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ცნობილი ქართველი საბჭოთა მოქანდაკის ვალერიან ბაგრატის ძე თოფურიძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ვ. ბ. თოფურიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ახალ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ვ. ბ. თოფურიძე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგას ვ. ბ. თოფურიძის ბიუსტი მის საფლავზე დიდუბის პანთეონში და ამ მიზნით დახარჯოს 3000 მანეთი.

2. მიეკუთვნოს ვ. ბ. თოფურიძის სახელი თბილისის სამხატვრო სკოლას.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს ვ. ბ. თოფურიძის სახელობის სტიპენდია თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტთათვის მისი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

4. ვ. ბ. თოფურიძის ნამუშევართა მუდმივი ექსპოზიციის შექმნის მიზნით საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდმა 1982 წლის 1 ივლისამდე საკუთარი სახსრების ხარჯზე შეაკეთოს და კეთილმოაწყოს ვ. ბ. თოფურიძის სახელოსნო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 26 იანვარი, № 52.

14 საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატის შექმნის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილების შესასრულებლად, რომლითაც გათვალისწინებულია საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატის შექმნა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატის სტრუქტურისა და ურთიერთობის სანიმუშო სქემა, № 1 დანართის თანახმად.

2. შეიქმნას რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების უფლებებით № 2 დანართის თანახმად გათვალისწინებული საშტატო რიცხოვნობითა და ხელფასის ფონდით.

დაევალოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილებას შეიმუშაოს განყოფილების დებულების პროექტი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილების შემადგენლობის მიზნით შემცირდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა 6 საშტატო ერთეულით 1.290 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსი — 3 საშტატო ერთეულით 645 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, საქსახსოფლტექნიკისა — 2 საშტატო ერთეულით 430 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსი — 1 საშტატო ერთეულით 215 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსი — 1 საშტატო ერთეულით 215 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსი — 1 საშტატო ერთეულით 150 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტისა" — 1 საშტატო ერთეულით 215 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, სამრეწველო გაერთიანება „საქჩაისა" — 1 საშტატო ერთეულით 215 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, სულ 16 ერთეულით 3.375 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, მათი შენახვის შესაბამისი ზღვრული ასიგნებებითურთ, და გადაეცეს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ზემოაღნიშნულ სამინისტროთა და საქსახსოფლტექნიკის ცენტრალური აპარატების საშტატო რიცხოვნობაში, ხელფასის ფონდსა და ზღვრულ ასიგნებებში.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შედიან:

ა) სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის № 896 დადგენილების შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო ჯგუფი;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო ჯგუფი;

გ) რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილება.

დაწესდეს, რომ ზემოაღნიშნული მუდმივი კომისიების სამუშაო ჯგუფები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს აპარატში სამუშაოს ასრულებენ ძირითადად მათ წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ (ამხ. ახვლედიანი) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ (ამხ. ანდრიაძე) გადაწყვიტონ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ახალშექმნილი განყოფილების მუშაკთა მოსათავსებლად სადგომების გამოყოფის საკითხი იმ სამინისტროთა და უწყებათა ხარჯზე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა ცენტრალური აპარატები განლაგებულია საქართველოს სსრ დედაქალაქ-ბის სახლის შენობაში, და უზრუნველყონ განყოფილების ნორმალური ფუნქ-ციონირება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 26 იანვარი, № 55.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1982 წლის 26 ივნისის
№55 დადგენილებით
დამტკიცებული
№1 დანართი

სანიმუშო სქემა

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო ჰოლდინგის მართვის რესპუბლიკური საწარმეთაშორისო სახოლმეობრივი საბჭოს სტრუქტურისა და უფლებამოსილებისა


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქართველოს მმართველობის განყოფილებები
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის ეროვნული ეკონომიკის საკითხთა სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო
აგროსამრეწველო ჰოლდინგის
საბჭოს წევრები
აგროსამრეწველო ჰოლდინგის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სსრ სსრ მინისტრი
სსრ საბჭოს აპარატი
სსრ საბჭოს ადმინისტრატორი ჰოლდინგის და სსრ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის №596 დადგენილების შესაბამისად ჩამოყალიბებულ საქართველოს ეროვნულ ჰოლდინგსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეთანხმებულ სსრ საბჭოს აპარატის ხელფასი
- ხელფასი გაზრდა, უფრო რეფერენტი — 1 ადგილი
- უფროსი რეფერენტი — 2 ადგილი
- უფროსი ინსპექტორი — 1 ადგილი
აგროსამრეწველო ჰოლდინგის "განყოფილება /საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მმართველობის განყ.-ის უფლებამოსილ/
- განყოფილების გაზრდა. იმავე სსრ საბჭოს ფონდები — 1 ადგილი
- განყოფილების გაზრდა ეთანხმება — 2 ადგილი
- უფროსი რეფერენტი — 5 ადგილი
- რეფერენტი — 2 ადგილი
- უფროსი ოპერატორი — 2 ადგილი
- უფროსი ინსპექტორი — 2 ადგილი
- მეკანიკოსი — 1 ადგილი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციისა და ეროვნული ეკონომიკის ეროვნულ-ეკონომიკური ინფორმაციის ეროვნული საბჭოს ეთანხმებული ეროვნული ეკონომიკის ეროვნული ინფორმაციის ეროვნული ეკონომიკის ეროვნული ინფორმაციის ეროვნული ეკონომიკის ეროვნული ინფორმაციის

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1982 წლის 26 ივნისის
№55 დადგენილებით
დამტკიცებულია

სანიმუშო სქემა

საქართველოს სსრ აბრამსამრეწველო ბიმვლექსის მართვის
რესპუბლიკური საწყებათაშორისო სახოლრდინაციო საბჭოს
სტრუქტურისა და უფლებათა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 26 იანვრის № 55 დადგენილების დანართი № 2

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილების საშტატო რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი

თანამდებობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური თანამდებობრივი სარგო (მანეთი)	თვიური ხელფასის ფონდი (მანეთი)
განყოფილების გამგე	1	300	300
განყოფილების გამგის მოადგილე	2	270	540
უფროსი რეფერენტი	5	230	1150
რეფერენტი	2	200	400
უფროსი რედაქტორი	2	200	400
უფროსი ინსპექტორი	2	140	280
უფროსი მემანქანე	1	95	95
ავტომანქანის მძღოლი (პირველი კლასისა)	1	140	140
სულ	16	—	3305

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

15 თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზაციის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, „თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზაციის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 967 დადგენილების შესასრულებლად და რესპუბლიკის შინაწყალსატევებში თევზის მარაგის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების, თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოებისათვის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზიდვის, სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზებული ფორმების განვითარების და წყალსატევებზე მოსახლეობის დასვენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ღურწკაია) 1982 წელს გამოუყოს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს 6 ტონა საერთო ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები, ხოლო მომდევნო წლებში გაითვალისწინოს მისთვის თევზის მეურნეობის განსავითარებლად სატრანსპორტო საშუალებების, კომბინირებული საკვებისა და მინერალური სასუქების გამოყოფა.

2. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ (ამხ. ბუაძე) გამოუყოს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს მეთერთმეტე ხუთწლედში მოტოციკლები, ინვენტარი და მასალები, № 1 დანართის თანახმად.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

ა) აღმოუჩინონ თევზდაცვის ორგანოებს პრაქტიკული დახმარება თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებათა განხორციელებაში, საზოგადოებრიობის მობილიზაციასა და ამ საკიხებზე მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებაში;

ბ) გააძლიერონ ყურადღება სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის, როგორც მოსახლეობის მასობრივი დასვენების ერთ-ერთი ფორმის, განვითარების საკითხებისადმი, განამტკიცონ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უზრუნველყონ მათთვის მეთევზეობასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფა დადგენილი წესით.

4. საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველომ (ამხ. კარატიგინი):

ა) საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვთან“, საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებასთან, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ღონისძიებანი ბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონიერობასთან და თევზდაცვის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროსა და მასში ჩამავალი მდინარეების დაცვას;

ბ) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზებული ფორმების განვითარებას, გააფართოოს თევზდაცვის ორგანოების მიერ ცალკეული წყალსატევების ან მათი უბნების განსაზღვრის პრაქტიკა იმისათვის, რათა მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებმა მოაწყონ სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა, განახორციელონ თევზსაშენ-მელიორაციულ ღონისძიებათა კომპლექსი და შექმნან მაღალპროდუქტიული კულტურული თევზის მეურნეობანი.

5. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირმა (ამხ. მგელიაშვილი):

ა) გააუმჯობესოს მუშაობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 აგვისტოს № 531 დადგენილებით საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისათვის გადაცემული წყალსატევების ასათვისებლად, ამასთან შექმნას აღნიშნულ წყალსატევებზე სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის კულტურული ფორმების განვითარების, თევზის მარაგის გადიდების და თევზსაშენ-მელიორაციულ სამუშაოთა განხორციელების გზით თევზის პროდუქტიულობის ამაღლების ხელშემწყობი პირობები, № 2 დანართის თანახმად;

ბ) შექმნას მეთერთმეტე ხუთწლედში სამოყვარულო თევზჭერის კულტურული და სატბორე თევზის მეურნეობანი საკუთარი სახსრების ხარჯზე, № 3 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ (ამხ. გიორხელიძე), საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ლომიძე) შეიმუშაონ და განახორციელონ სტუდენტთა ნებაყოფლობით რაზმეულებთან, აგრეთვე მოსწავლეთა რაზმებთან „ცისფერი პატრულები“ მუშაობის თევზჭერის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

7. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. ფოფხაძე), საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. დვალიშვილი), რესპუბლიკური და რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“:

ა) სისტემატურად გააშუქონ თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების და თევზჭერის რეგულირების საკითხები, ამასთან სრულყონ თევზდაცვის კანონმდებლობის პროპაგანდის ფორმები და საშუალებანი;

ბ) შეისწავლონ მუდმივი რუბრიკის ან კუთხის „თევზის მარაგის დაცვა“ შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი;

გ) პრაქტიკაში შემოიღონ თევზდაცვის ორგანოების მუშაობის ამსახველი მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა.

8. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ (ამხ. ჯოხთაბერიძე) საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოსთან ერთად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახორციელოს რესპუბლიკური და საკავშირო მარშრუტების ტურისტთა მასრის თევზდაცვის წესების პროპაგანდის ღონისძიებანი, აგრეთვე მოამზადოს ინსტრუქტორები ამ საკითხებზე.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა (ამხ. პერტენავა) შეიმუშაოს რესპუბლიკაში სათევზაო სპორტის განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი, პერიოდულად ჩაატაროს ნებაყოფლობით საზოგადოებებთან ერთად შეჯიბრებანი სპორტულ თევზჭერაში.

10. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი მოსმენილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1982 წლის ოქტომბერში.

11. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანა ამ დადგენილების თანდართული ცვლილებანი სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 166, მუხ. 127; 1965 წ. № 24, მუხ. 205; 1970 წ., № 1, მუხ. 3; 1976 წ., № 10, მუხ. 47).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 8 თებერვალი, № 82.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 8 თებერვლის № 82 დადგენილების დანართი № 1

უწყისი

მონკავშირისათვის მოტოციკლების, ინვენტარისა და მასალების გამოყოფისა

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა			
		1982 წელი	1983 წელი	1984 წელი	1985 წელი
მძიმე ტიპის მოტოციკლი	ცალი	—	10	15	20
მეთევზის კოსტიუმი	„	30	40	50	50
აგური	ათასი ცალი	20	20	10	5
ჩაუმქრალი კირი	ტონა	100	100	100	100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 8 თებერვლის № 82 დადგენილების დანართი № 2

უწყისი

მონკავშირის წყალსატევებზე თევზსაშენ-მელიორაციული სამუშაოებისა

სამუშაოთა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა			
		1982 წელი	1983 წელი	1984 წელი	1985 წელი
უხეშ მცენარეულობის მოთიბვა	ჰექტარი	—	300	400	500
მცენარეჭამია თევზების ლიფსიტების მოშენება	მილიონი ცალი	2,0	3,0	4,0	5,0
ხელოვნური საქვირითეების დაყენება	ცალი	50	100	150	200

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 8 თებერვლის № 82 დადგენილების დანართი № 3

ნუსხა

კულტურული სათევზე და სატბორე მეურნეობებისა, რომელთაც ქმნის მონკავშირი მეთერთმეტე ხუთწლედში

მეურნეობების დასახელება	წლები			
	1982	1983	1984	1985
ბიბისირი	1	—	—	—
ნარიონალი	1	—	—	—
ბაზალეთი	1	—	—	—
პანტიანი	—	1	—	—
გომარეთი	—	1	—	—
თვალიჭალა	—	—	1	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 967 დადგენილების დანართი

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ

1. დებულების მე-2, მე-4, მე-6, მე-10, მე-13 და მე-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თევზის მარაგის, წყლის სხვა ცხოველთა და მცენარეთა დაცვას, მათი რეწვის რეგულირებას და ამ რეწვის უფლების მიცემას, კონტროლს ამ დებულების და თევზჭერის, წყლის სხვა ცხოველთა და მცენარეთა მოპოვების წესების დაცვისადმი, აგრეთვე თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზის მარაგის კვლავწარმოებისა და მელიორაციის ღონისძიებათა შესრულებისადმი ახორციელებენ თევზდაცვის ორგანოები“.

„4. თევზდაცვის ორგანოები განსაზღვრავენ თევზსამეურნეო წყალსატევებში სარეწაო უბნებს და მისცემენ ამ უბნებზე სარეწაო თევზჭერისა და წყლის სხვა ცხოველთა და მცენარეთა მოპოვების უფლებას უვადოდ პირველ რიგში თევზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოებს, მეთევზეთა და სხვა კოლმეურნეობებს, რომლებიც აბარებენ თევზს სახლმწიფო საწარმობს, და მეორე რიგში სხვა თევზდამამზადებელ ორგანიზაციებს.

სატრანსპორტო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების, რკინიგზის ხიდების, სავაჭრო და სამხედრო ნავსადგურების, ნავმისადგომების, გემთსაშენებელი და გემთსარემონტო ქარხნების, გამაგრებული რაიონების, სამხედრო ბანაკებისა და ნაკრძალების განთვისების ზოლებში არსებულ სარეწაო უბნებზე თევზის ჭერის უფლებას გასცემენ თევზდაცვის ორგანოები იმ ორგანიზაციებთან შეთანხებით, რომელთა სარგებლობაშიცაა განთვისების ზოლები.

თევზის ჭერას და წყლის სხვა ცხოველთა და მცენარეთა მოპოვებას თევზსამეურნეო წყალსატევებში სანაპირო სარეწაო უბნების ფარგლებს გარეთ ეწევიან საწარმოები და ორგანიზაციები იმ ნებართვების საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ თევზდაცვის ორგანოები თითოეული გემის ან ჭერის სარეწი იარაღის მიხედვით.

თევზდაცვის ორგანოები განსაზღვრავენ წყალსატევებს და წყალსატევთა უბნებს ტბის სასაქონლო და სხვა კულტურულ სათევზე მეურნეობათა შესაქმნელად, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების მიერ სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის ორგანიზაციის და თევზის მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის.

აღნიშნულ წყალსატევებსა და უბნებზე თევზის მეურნეობის გაძღოლის პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებებით, რომლებსაც დაუდებენ შესაბამისი საწარმოები და ორგანიზაციები თევზდაცვის ორგანოებს. ხელშეკრულებას თან დაერთვის დაწესებული ნიმუშის პასპორტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„6. სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა, წყლის სხვა ცხოველები და მცენარეთა მოპოვება პირადი მოხმარებისათვის ნებადართულია ყველა მოქალაქისათვის უფასოდ ყველა წყალსატევში, ნაკრძალების, თევზსაშენების, სატბორე და სხვა კულტურული სათევზე მეურნეობების გარდა, თევზჭერისა და წყალსარგებლობის დადგენილი წესების დაცვით.

წყალსატევებსა და წყალსატევთა უბნებზე, სადაც სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერას აწყობენ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებანი, თევზის ჭერა ნებადართულია ამ საზოგადოებათა წევრებისათვის.

მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებანი მოვალენი არიან განახორციელონ თევზდაცვის ორგანოებთან შეთანხმებით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის მარაგის დაცვასა და კვლავწარმოებას წყალსატევებში და წყალსატევთა უბნებზე, რომლებსაც ისინი იყენებენ სამოყვარულო და სპორტული თევზჭერისათვის.

სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების კულტურულ სათევზე მეურნეობებში ხორციელდება ამ საზოგადოებათა მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე უფასოდ ან საფასურით. ამასთან დაკავშირებით შემოსული სახსრები გამოიყენება თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე ამ საზოგადოებათა თევზსაჭერი ბაზების მოსაწყობად და აღსაჭურვად. აღნიშნული საფასურის ოდენობა და მისი გადახდისაგან განსათავისუფლებელ პირთა კატეგორია განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით“.

„10. საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც ეძლევათ უფლება დაიჭირონ თევზი და მოიპოვონ წყლის სხვა ცხოველები და მცენარეები სარეწაო უბნებზე, თევზდაცვის ორგანოებთან შეთანხმებით მოვალენი არიან თავიანთი ძალებითა და სახსრებით, გაწმინდონ საბადურები, საცურები და ჭერის სხვა ადგილები, განახორციელონ თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებანი, აგრეთვე ჯეროვან სანიტარიულ მდგომარეობაში იქონიონ სანაპირო უბნები ჭერის იარაღების ამოღების ადგილებში“.

„13. თევზსამეურნეო წყალსატევებზე ახალი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის, არსებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დროს, აგრეთვე ამ წყალსატევებზე და მათ სანაპირო ზოლებში (ზონებში) სხვადასხვა სამუშაოთა განხორციელებისას გაერთიანებანი, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები მოვალენი არიან თევზდაცვის ორგანოებთან შეთანხმებით გაითვალისწინონ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში და განახორციელონ თევზის მარაგის შენარჩუნების ღონისძიებანი, ხოლო კაშხლების მშენებლობისას — აგრეთვე თევზის მეურნეობისათვის წყალსაცავების სრული გამოყენების ღონისძიებანი“.

„14. თევზის მარაგის შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის აშენებული ნაგებობები, თევზგასაშვებ და თევზდასაცავ ნაგებობათა გარდა, გადაეცემა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილი წესით იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსზე, რომელთაც ექვემდებარებიან სრებათ თევზის მარაგის კვლავწარმოების მოვალეობანი. თევზგასაშვები და თევზდასაცავი ნაგებობები იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა გამგებლობაშია, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ შესაბამის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და სარწყავ სისტემებს.

თევზგასაშვებ და თევზდასაცავ ნაგებობათა მუშაობის რეჟიმები განისაზღვრება წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებსაც ადგენენ თითოეული ნაგებობის მიხედვით თევზდაცვის ორგანოები იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ აღნიშნულ ნაგებობებს.

თევზდაცვის ორგანოებს უფლება ეძლევათ კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიონ თევზგასაშვებ და თევზდასაცავ ნაგებობათა მუშაობას".

2. დებულების მე-15 პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დაუბრკოლებლივ შევიდნენ საწარმოებში, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში, ნაკრძალებში და სხვა ორგანიზაციებსა და ობიექტებში თევზსამეურნეო წყალსატევებზე ამ დებულების მოთხოვნების და თევზჭერის წესების შესრულების შესამოწმებლად და მისცენ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებანი გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ. განსაკუთრებული რეჟიმის ობიექტებში შესვლა ხდება დადგენილი წესით";

ბ) დაემატოს პუნქტს შემდეგი შინაარსის „ზ" ქვეპუნქტი:

„ზ) შეაჩერონ და გააუქმონ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა თევზჭერის წესების საწინააღმდეგო მოქმედება და მითითებანი, რომლებიც ეწევიან თევზის ჭერასა და წყლის სხვა ცხოველთა და მცენარეთა მოპოვებას".

---

16 საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ

„სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 ივნისის № 527 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებასთან და გამოცემასთან დაკავშირებით და საფინანსო კანონმდებლობის შემგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ.

2. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1981 წლის 12 ივნისს დამტკიცებული № 120 ინსტრუქცია „ბიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეტგარეშე სახსრების დაგეგმვის, გამოყენებისა და აღრიცხვის, აგრეთვე მათ გამო ანგარიშგების წესის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 8 თებერვალი, № 83.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 8 თებერვლის № 83 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ბიუჯეტგარეშე სახსრებს წარმოადგენს ის სახსრები, რომლებსაც მიიღებენ საბიუჯეტო დაწესებულებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის გამოყოფილი ასიგნებების გარდა. ბიუჯეტგარეშე სახსრები იხარჯება ზუსტად მიზნობრივი დანიშნულებით.

ბიუჯეტგარეშე სახსრები არ შეიტანება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ სხვა წესი არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

2. ბიუჯეტგარეშე სახსრებისათვის მიკუთვნებული სპეციალური სახსრები, თანხები დავალებების მიხედვით და სადეპოზიტო თანხები იქმნება და გამოიყენება ამ დებულებით დადგენილი წესით. აღნიშნული ბიუჯეტგარეშე სახსრები ინახება ცალკე მიმდინარე ანგარიშებზე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების გამოყენების წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

3. ბიუჯეტგარეშე სახსრების განმკარგულებლები არიან საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებსაც მიცემული აქვთ უფლება განაგონ საბიუჯეტო ასიგნებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბიუჯეტგარეშე სახსრების მიხედვით ორგანიზაციული და მეთოდიკური მუშაობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

II. სპეციალური სახსრები

5. სპეციალურ სახსრებს წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებათა შემოსავალი, რომელიც მიიღება პროდუქციის რეალიზაციის, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევის ან სხვა საქმიანობის განხორციელების შედეგად.

სპეციალური სახსრები იქმნება მხოლოდ ნებართვის არსებობისას. სპეციალური სახსრების შექმნის ნებართვას შემოსავლის წყაროების დაწესებითა და იმ მიზნების განსაზღვრით, რისთვისაც ისინი შეიძლება დაიხარჯოს, რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს მისცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

სპეციალური სახსრების შექმნის უფლება მიეცემათ იმ პირობით, თუ შეუძლებელია სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე პროდუქტების რეალიზაცია, სამუშაოთა შესრულება, მომსახურების გაწევა ან სხვა საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მთლიანად უზრუნველყოფილია მიღებული შემოსავლით.

სპეციალურ სახსრებს აუქმებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

6. საბიუჯეტო დაწესებულებას ეხსნება ერთი მიმდინარე ანგარიში ყოველგვარი სპეციალური სახსრებისათვის.

7. საბიუჯეტო დაწესებულებანი, რომელთაც აქვთ სპეციალური სახსრები, ყოველწლიურად ადგენენ სპეციალური სახსრების თითოეული სახეობისათვის ხარჯთაღრიცხვებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და ფორმების მიხედვით.

საბიუჯეტო დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე ზემდგომი ორგანოები ადგენენ სპეციალური სახსრების კრებსით ხარჯთაღრიცხვებს.

რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა მიხედვით სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების (კრებსითი ხარჯთაღრიცხვების) დამტკიცების წესს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები და შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებათა გამგეები.

8. სპეციალური სახსრების ხარჯვა სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებამდე აკრძალულია.

იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო დაწესებულების მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვა არ დამტკიცდება დადგენილი წესით 1 იანვრამდე, მას უფლება ეძლევა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 1 აპრილისა, გასწიოს ხარჯები წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში გამოანგარიშებული თანხების ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ხარჯების წლიური თანხის მეთორმეტედი ნაწილისა ყოველთვიურად.

9. საბიუჯეტო დაწესებულებები მოვალენი არიან ხარჯონ სპეციალური სახსრები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში და სპეციალური სახსრების თითოეული სახეობის მიხედვით შემოსავლის ფაქტიური შემოსვლის კვალობაზე.

სპეციალური სახსრების ერთი სახეობის ხარჯთაღრიცხვიდან სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა გადაადგილება სპეციალური სახსრების მეორე სახეობის ხარჯთაღრიცხვაში არ დაიშვება.

სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების მოქმედება წყდება 31 დეკემბერს.

წლის დამლევისათვის მიმდინარე ანგარიშზე წარმოქმნილი სპეციალური სახსრების ნაშთები გადაიტანება მომავალი წლის სპეციალური სახსრების შესაბამისი სახეობის ხარჯთაღრიცხვის შემოსავლის ნაწილში.

10. სპეციალური სახსრების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით დაწესებულ ჭარბი შემოსავლის თანხებს საბიუჯეტო დაწესებულებები შეიტანენ შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა ამ თანხების სხვა დანიშნულება.

საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვების მიხედვით ჭარბი შემოსავლის თანხების ბიუჯეტის შემოსავალში შეტანის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

III. თანხები დავალებების მიხედვით

11. თანხებს დავალებების მიხედვით წარმოადგენს სახსრები, რომლებსაც მიიღებენ საბიუჯეტო დაწესებულებები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან გარკვეულ დავალებათა შესრულებისათვის.

დავალების შესრულების შემდეგ საბიუჯეტო დაწესებულება მოვალეა გაუგზავნოს დავალების მიმცემ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ანგარიში დახარჯული სახსრების შესახებ და დაუბრუნოს მიღებული თანხების გამოუყენებელი ნაშთი.

საბიუჯეტო დაწესებულებები, რომლებმაც მიიღეს სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებისაგან თანხები დავალებების მიხედვით და არ გამოუყენებიათ ისინი დანიშნულებისამებრ მიმდინარე წელს, მოვალენი არიან არა უგვიანეს 31 დეკემბრისა დაუბრუნონ მიღებული თანხები იმ დაწესებულებებს, რომლებმაც გადმორიცხეს ეს თანხები.

IV. სადეპოზიტო თანხები

12. სადეპოზიტო თანხებს წარმოადგენს სახსრები, რომლებიც შემოდის საბიუჯეტო დაწესებულებათა დროებით განკარგულებაში და განსაზღვრული პირობების დადგომის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შემომტანს ან გადაეცეს დანიშნულებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. სახსრები სადეპოზიტო თანხების ანგარიშებიდან გაიცემა სახელობითი ჩეკების მიხედვით ან გადაირიცხება საგადამხდელო დავალებათა მიხედვით იმ პირთა ან ორგანიზაციათა სახელზე, რომელთაც ეს თანხები უნდა მიეცეთ.

14. მიმდინარე ანგარიშებზე სადეპოზიტო თანხების შენახვა განისაზღვრება შემდეგი ვადებით:

ა) მოქალაქეთათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება სამი წლის განმავლობაში;

ბ) საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის (გარდა საბიუჯეტო დაწესებულებებისა) გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება ერთი წლის განმავლობაში.

ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ვადების მიმდინარეობა გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა პირს ან საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, რომლის სახელზეც შეტანილია სადეპოზიტო თანხები, გაეგზავნება შეტყობინება შესაბამისი თანხების დეპოზიტზე შეტანის შესახებ, ხოლო გადაუწყვეტელი სასამართლო საქმეების მიხედვით დეპოზიტზე შეტანილი თანხებისათვის — სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

თუ პირი ან საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლის სახელზეც შეტანილია სადეპოზიტო თანხები, საზღვარგარეთაა და ამ თანხების გამგებლობისათვის საჭიროა ნებართვის მიღება, ზემოაღნიშნული ვადების მიმდინარეობა გამოიანგარიშება ასეთი ნებართვის მიღების დღიდან;

გ) საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის გადასაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც იქნა შეტანილი ეს თანხები, ხოლო გადაუწყვეტელი სასამართლო საქმეების მიხედვით დეპოზიტზე შეტანილი თანხები ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

15. ამ დებულების მე-14 პუნქტში აღნიშნული შენახვის ვადების გასვლის შემდეგ მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხები უნდა გადაირიცხოს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში იმ საბიუჯეტო დაწესებულების განკარგულებით, რომლის მიმდინარე ანგარიშზეც ინახება ეს თანხები.

---

17 საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სოფლის სკოლების ბიბლიოთეკართა კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობა და გავრცელდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ბიბლიოთეკარებზე ბინით, გათბობითა და განათებით უზრუნველყოფის შელავათები, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 ივლისის № 412 დადგენილებებით.

2. ამასთან დაკავშირებით საჭირო თანხები გათვალისწინებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ბიუჯეტებში 1983 წლიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 8 თებერვალი. № 84.

18 იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს წინადადება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის დამატების თაობაზე „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებების გათვალისწინებით, და V განაყოფის მე-14 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება კომუნალური საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მიმართ დავალიანება პირადი საკუთრების სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მფლობელთა და ამ სახლების მოიჯარეთა მიერ წყალსადენიდან წყლის ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის სარგებლობისათვის“, და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 22 თებერვალი, № 110.

19 საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილების შესრულების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი), სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიზნით უკვე შერჩეულია 8,7 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან ქ. თბილისის მშრომელთა კოლექტივებისათვის — 5,7 ათასი ჰექტარი. საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გამოყოფილი აქვთ 2.6 ათასი ჰექტარი. აქედან ქ. თბილისის მშრომელთა კოლექტივებს — 2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, შექმნილია 330 მებაღეობის ამხანაგობა, რომელშიც გაერთიანებულია 30 ათასი წევრი, უმჯობესდება 1967-1973 წლებში შექმნილი მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობა, რომელთა 10 ათას წევრს უკავია 1,1 ათასი ჰექტარი.

მებაღეობის ამხანაგობათა შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აპრილის № 400 დადგენილების მიღებამ, რომლითაც გადაწყდა მებაღეობის ამხანაგობათა განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, განისაზღვრა საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ფუნქცია ამ საქმეში, შეიქმნა მასთან საპროექტო კანტორა, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო და საშენ მასალათა საწარმო, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან კოლექტიურ ბაღებში საერთო კომუნიკაციების, საბაღე სახლების დასაპროექტებლად და მშენებლობისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, მებაღეობის ამხანაგობათა განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯეროვნად ვერ აფასებს კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელობას, როგორც სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს, ქალაქის მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომაში მოზარდთა ჩაბმის საშუალებას, და ამ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას იჩენს. ნაწილი ხელმძღვანელებისა უსაფუძვლოდ იწუნებს ამ დანიშნულებით შერჩეულ მიწის ნაკვეთებს, არ ითვისებს უკვე გამოყოფილ ფართობებს და გაუმართლებლად მოითხოვს სხვა ნაკვეთების გამოყოფას საგარაკო ადგილებში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებათა მოთხოვნებს.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ქალაქ თბილისის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კოლექტიური მებაღეობის შემდგომ განვითარებას, რის შედეგადაც ჯერ კიდევ აუთვისებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1979-1980 წლებში ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი დიდი ფართობები.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებანი ნაკლებად ზრუნავენ კოლექტიური მებაღეობის შესახებ რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებისათვის, რაც ხელს უშლის და აფერხებს მის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კოლექტიური მებაღეობის შემდგომ განვითარებას, როგორც ქალაქის მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას;

— აამაღლონ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისადმი, უზრუნველყონ უნარიანი ხელმძღვანელობა და დახმარება გამოყოფილი ნაკვეთების დროულად ასათვისებლად, კეთილმოსაწყობად და საბაღე სახლების ასაგებად;

— სისტემატურად განიხილონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მებაღეობის ამხანაგობების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მეურნეობის საკოორდინაციო საბჭომ (აგროკოოპმა):

— უზრუნველყოს მებაღეობის ამხანაგობათა მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ტიპობრივი წესდების ზუსტად დაცვა;

— მკაცრი კონტროლი დააწესოს, რომ მისდამი დაქვემდებარებული საპროექტო, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები და საშენი მასალების საწარმო დროულად და ხარისხიანად ასრულებდნენ მებაღეობის ამხანაგობათა დაკვეთებს;

— იქონიოს კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებისათვის მიწის ფართობების გამოყოფის, ათვისებისა და ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ერთიანი აღრიცხვა;

— 1982 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად მოაწყოს დათვალიერება კონკურსი საუკეთესო კოლექტიური ბაღისა და მებაღის გამოსავლენად, ფართო პროპაგანდა გაუწიოს მოწინავე მებაღეობის ამხანაგობათა გამოცდილებას.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციამ გამოუყოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს) საჭირო ფართობი დათვალიერება-კონკურსის შედეგებისა და კოლექტიური მებაღეობის საქმიანობის ამსახველი მასალების გამოფენის მოსაწყობად.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად ერთი თვის ვადაში დააზუსტონ, გააფორმონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ მასალები კოლექტიური მებაღეობისათვის შერჩეული მიწებიდან უპერსპექტივო ფართობების მეურნეობებისათვის დაბრუნების შესახებ, შეარჩიონ აგრეთვე მათი საკომპენსაციო ფართობები და წარმოადგინონ მასალები არსებული წესით.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სატყეო მეურნეობათა განკარგულებაში არსებული ტყით დაუფარავი ან ნაკლებმნიშვნელოვანი ტყის ნარგავებით დაკავებული ფართობებისა და ნასოფლარების შერჩევას. შესაძლებლობის ფარგლებში შეარჩიონ ნაკვეთები უკვე არსებულ ამხანაგობათა მომიჯნავედ, ამასთან მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 და 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებებით.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ ითვისებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებს, და მიიღონ ზომები ამ ფართობების დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად;

— არ დაუშვან საბაღე სახლების აშენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტების დარღვევით, როგორც ახალ, ისე ადრე გამოყოფილ მიწის ფართობებზე, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები მებაღეობის ამხანაგობის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც საბაღე სახლები აშენებული აქვთ პროექტის დარღვევით;

— სამი თვის ვადაში გაანაწილონ კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად შერჩეული და მათთვის გადაცემული მიწის ფართობები და დადგენილი წესით გაფორმებული მასალები წარუდგინონ შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

6. დაწესდეს, რომ იმ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომელმაც უარი თქვა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მისთვის გამოყოფილი მიწის ათვისებაზე, არ მიეცეს მიწის ნაკვეთი სხვა ადგილას.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოლექტიური მებაღეობისათვის მიწის ფართობების შერჩევა-გამოყოფის საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სამინისტროს აპარატში სპეციალური განყოფილების შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1981 წლის 16 ივნისის № 428 დადგენილების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

8. საწარმოო გაერთიანება „საქნავთობმა" 1982 წლის 1 მაისამდე უზრუნველყოს ხაშმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებული კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებისათვის წყალსადენის მშენებლობის დამთავრება, რომლის ჩაბარებაც მებაღეობის ამხანაგობებისათვის მას დავალებული ჰქონდა 1981 წლის დამლევამდე.

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქმთავარწყალმშენმა, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა სისტემაში შექმნილია მებაღეობის ამხანაგობანი, თავიანთი სარემონტო და სამშენებლო ორგანიზაციების მეშვეობით (ძირითადი საქმიანობისადმი ზიანის მიუყენებლად) შეუსრულონ მათ საერთო კომუნიკაციების, საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები პირდაპირი ხელშეკრულებით საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დაკვეთის საფუძველზე და ეს სამუშაოები გაითვალისწინონ 1982 წლისა და შემდგომი წლების სამუშაო გეგმებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მიიღოს ქმედითი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ასაწყობი საბაღე სახლების შემოზიდვა მებაღეობის ამხანაგობებისათვის მისაყიდად დაგეგმილი ოდენობით.

11. ცეკავშირის გამგეობამ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ შესრულდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 მაისის № 586 განკარგულება მებაღეობის ამხანაგობებისათვის 1982 წელს 150, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად 600 ასაწყობი საბაღე სახლის წარმოებისა და მიყიდვის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი გაცვლითი ოპერაციების საშუალებით შემოზიდოს რესპუბლიკაში ასაწყობი საბაღე სახლები და ხე-ტყის მასალა.

12. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) საქმიანობის კოორდინაციის აპარატს შეუქმნან ნორმალური მუშაობის პირობები, უზრუნველყონ ამ აპარატის მუშაკები შესაფერისი სამუშაო ადგილით, საჭირო ინვენტარითა და მომსახურებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 13 აპრილის № 454 განკარგულების შესაბამისად.

— დაწესდეს, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სადაც ამხანაგობათა სიმცირის გამო შექმნილი არ არის საშტატო ერთეული, მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის კოორდინაცია დაევალოს აღმასკომის ერთ-ერთ მუშაკს.

13. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) დაგეგმვის მიხედვით მიეკუთვნოს „სხვადასხვა დარგებს“ და კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები გამოეყოს ამ დარგებისათვის დამტკიცებული ლიმიტებიდან, ხოლო ტექნიკა, ტრანსპორტი და სხვა მატერიალური რესურსები — რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ფონდებიდან, იმ საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, რომელთაც ეკუთვნით მებაღეობის ამხანაგობანი.

14. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის განყოფილებასა და სასოფლო და წყალსამეურნეო მშენებლობის განყოფილებას.

15. დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 26 თებერვალი, № 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი—76147

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VI-82 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 6,25, სააღრიცხვო თაბახი 3,5

შეკვეთა № 786 უე 05589 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

6 38/150
ეროვნული
ბიბლიოთეკა